სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი განათლება / Preschool Education
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	0112 სკოლამდელი განათლების ბაკალავრი /Bachelor in Preschool Education
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის ხელმძღვანელი	ნატო ქობულაძე -ასოცირებული პროფესორი (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში) ნინო ლაბარტყავა- ფსიქოლოგიის დოქტორი, მოწვეული დარგის სპეციალისტი, პროგრამის თანახელმძღვანელი. (სრული ინფორმაცია იხ. თანდართულ CV-ში)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზნები	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **მიზნებია:** ➢ **მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა** ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების კანონზომიერებების, ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების, ხარისხიანი ადრეული განათლების პრინციპების, ასაკისა და განვითარების შესაბამისი კურიკულუმის შემუშავების შესახებ და განუვითაროს ეფექტური საგანმანთლებლო სტრატეგიების განხორციელების უნარ-ჩვევები.

	➢ **განუვითაროს** მას მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე **ზრუნვის**, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო **პროცესის წარმართვის,** ბავშვისა და საკუთარი პრაქტიკის **შეფასების**, ბავშვებთან, მშობლებთან, თემთან, ბავშვზე ზრუნვაში ჩართულ სხვა სერვისების წარმომადგენლებთან, დაწყებითი განათლების მასწავლებლებთან **პოზიტიური კომუნიკაციის უნარები.** ➢ მოამზადოს მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების მატარებელი, ბავშვთა უფლებების დაცვაზე, სკოლამდელი განათლების მნიშვნელობასა და ინკლუზიურობის პოპულარიზაციაზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული, სკოლამდელი (ადრეული) განათლების სპეციალისტები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრასა და შევსებას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	„სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე განსხვავებული წესით ჩარიცხვა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე/მობილობა) რეგულირდება კანომდებლობით დადგენილი წესით და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
` სწავლის შედეგები (სკოლამდელი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს)	**1. ცოდნა და გაცნობიერება** 1.1. **აღწერს** და **განმარტავს** ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების მახასიათებლებს, ბავშვის განვითარების დარღვევებს, ბავშვის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს, **მსჯელობს** სწავლისა და განვითარების თეორიების ძირითადი პოსტულატების შესახებ; **მსჯელობს** ბავშვის შესწავლის მეთოდების შესახებ; აღწერს ბავშვზე ზრუნვის, ჯანმრთელობის დაცვის ძირითად საკითხებს. 1.2. **აღწერს** და **განმარტავს** ადრეული ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას, გარემოს ორგანიზების პრინციპებს და **ასაბუთებს** თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას ბავშვის განვითარების საქმეში, **ადარებს** და **აანალიზებს** ადრეული განათლების სხვადასხვა კურიკულემებს, მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის თავისებურებებს. 1.3. მსჯელობს პოზიტიური მშობლობის მნიშვნელობის შესახებ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისათვის. აანალიზებს მშობლის დამოკიდებულების მნიშვნელობას ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებების, აღზრდის არსის, აღზრდის პრინციპების, აღზრდის მეთოდების მნიშვნელობას ბავშვის ჰოლისტური განვითარების პროცესში. 1.4. **აღწერს** და **განმარტავს** ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებულ სამართლებრივი და ნორმატიული აქტების რეგულირების სფეროებს, ძირითად პრინციპებს, ბავშვთა დაცვის სფეროში არსებულ სამართლებრივ აქტებს, ადრეული ასაკის ბავშვის კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტს: ზრუნვის, ჯანმრთელობის, სოციალური და ძალადობისგან დაცვის და სხვა ფაქტორებს;
	2. უნარი: 2.1. აკვირდება ბავშვებს, ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებას, ბავშვის პროგრესის დოკუმენტირებას, ბავშვების საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად ჰოლისტურ განვითარებაზე მიმართული მრავალფეროვანი სტრატეგიების, აქტივობების, პრაქტიკული პროექტების, დაგეგმვას და განხორციელებას, ბავშვის ინდივიდუალიზებულ მხარდაჭერას, გეგმავს საგანმანთლებლო პროცესში ოჯახისა და თემის ჩართულობის გზებს. 2.2. გეგმავს და ახორციელებს ტრანზიციის გეგმას და პრაქტიკას, აფასებს საკუთარ და სხვის პრაქტიკას, მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში.
	3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

	ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისას სტუდენტს შეუძლია: 3.1. მკაფიო მითითებების საფუძველზე გეგმავს და წარმართავს საგანმანათლებლო პროცესის აქტივობებს, ახდენს საქმიანობის დოკუმენტირებას, უზიარებს გამოცდილებას კოლეგებს, მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში და სწავლობს აზრთა სხვადასხვაობის კონტექსტში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული შეთავაზებული მეთოდები, ასევე თავად ლექტორის მიერ შერჩეული ნებისმიერი მეთოდი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. **ლექცია** - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. **ვერბალურ, ანუ ზეპირსიტყვიერ მეთოდს** მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. **წიგნზე მუშაობის მეთოდი** დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი. **წერითი მუშაობის მეთოდი** გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ. **პრაქტიკული მეთოდები** აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პროფესიული პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ. **დისკუსია/დებატები** ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. **გონებრივი იერიში (Brain storming)** მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: • პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა. • დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა. • გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.

- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პროფესიული პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისინებით.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

	• დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. • ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. • მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა	„სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით და მოიცავს შეფასების სავალდებულო კომპონენტებს-**შუალედურ** და **დასკვნით** შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული კურსის სილაბუსში და უნდა ეცნობოს სტუდენტს სემესტრის დასაწყისში. შუალედური შეფასების ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 70%-ს, ხოლო დასკვნითი შეფასების არანაკლებ - 30%-ს. თითოეული კომპონენტის ხვედრით წილს ადგენს სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელი; დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა სტუდენტისთვის სავალდებულოა. სტუდენტის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შეადგენს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 30%-50%-ს, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად. შეფასების თითოეული კომპონენტი (დასკვნითი და შუალედური) მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, რომელსაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ირჩევს ინდივიდუალურად. **შეფასების მეთოდები** - სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები: ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესე (და სხვა წერითი დავალებები (მაგ. კურიკულუმის მიხედვით საგანმანათლებლო გეგმის შედგენა, აქტივობების შემუშავება და სხვ.), დემონსტრირება (სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსი; რეფლექსური ჩანაწერები; თვითრეფლექსია; დაკვირვების და შეფასების ჩანაწერები;), ვერბალური მოხსენება/პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, პრაქტიკის პორტფოლიო; პრაქტიკის კვლევის ანგარიში; შემთხვევის („ქეისის“) განხილვა /ანალიზი; საჭიროებებზე დაფუძებული პროფესიული განვითრების გეგმა; საბაკალავრო ნაშრომი; სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა; (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგის მიღწევის დონე. სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის გათ-ვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

	სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება **F**-**უარყოფითი შეფასება.**

დადებითი შეფასება	
A - ფრიადი	91-100 ქულა
B - ძალიან კარგი	81-90 ქულა
C - კარგი	71-80 ქულა
D - დამაკმაყოფილებელი	61-70 ქულა
E - საკმარისი	51-60 ქულა
უარყოფითი შეფასება	
FX - ვერ ჩააბარა	41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (ამასთან, დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).
F - ჩაიჭრა	ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში როგორც საგანმანათლებლო (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, მეთოდისტი...), ასევე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე: ფორმალურ და არაფორმალურ ადრეული განათლების პროგრამებში. აგრეთვე, ადრეული განათლებისა და ზრუნვის დაწესებულებებსა და ადრეული ინტერვენციის სერვისებში და პროგრამებში.
სწავლის გაგრძელების საშუალება	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.
პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა	სკოლადელი განათლების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზ-ღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; • კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • სკოლამდელი განათლების ლაბორატორია; • კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;

	• ბავშვთა უფლებების ცენტრი; • სტუდენტი დედების ოთახი; • სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში (სკოპუსი, ელსევიერი და სხვა) **„სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით“** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ასევე: **2 კომპეტენციისთვის** პრაქტიკის ბაზა - ადრეული და სკოლამდელი და განათლების დაწესებულებები (როგორც კერძო, ისე საჯარო), ადრეული ინტერვენციის და ადრეული განათლების პროგრამები, რომელთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მეორანდუმი/ხელშეკრულება. **2, 3 კომპეტენციისთვის** შრომითი ხელშეკრულებები პრაქტიკაში ჩართულ ადრეული განათლების პრაქტიკოსებთან (საგანმანათლებლო პერსონალთან) პრაქტიკა ხორციელდება ადრეული განათლების დაწესებულებაში მომუშავე საგანამანათლებლო პერსონალის სუპერვიზიით. **2 კომპეტენციისთვის** სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სივრცე/სკოლამდელი განათლების ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია სათამაშოებით, წიგნებით, ინსტრუმენტებით, ხელოვნების მასალით 0-7/8 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. აღნიშნულ სივრცეში სტუდენტებს აქვთ საშუალება ივარჯიშონ გარემოს მოწყობაში, სათამაშოების შერჩევასა და გამოყენებაში, რესურსების შექმნაში, პრაქტიკული დავალებების შესრულებაში. (რესურს ოთახი, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ დავალებებს განახორციელებენ). აღნიშნული ლაბორატორია შეიქმნა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში **2, 3 კომპეტენციისთვის** პრაქტიკა ხორციელდება ადრეული განათლების დაწესებულებაში მომუშავე საგანამანათლებლო პერსონალის სუპერვიზიით.
პროგრამის ადამიანური რესურსი	სკოლადელი განათლების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგან-მანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სა-თანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)

პროგრამის სტრუქტურა

სკოლადელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: 240 ECTS, მ.შ. ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 ECTS, მ.შ დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული პრაქტიკა - 40 ECTS თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 ECTS. ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - - 50 ECTS თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები - 10 ECTS.	
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები **40 კრედიტი**	თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისებისა და საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში, რომლებიც ემსახურება სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებს. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენის, აკადემიური წერის (ქართ. ინგლ, აღნიშნული

	სასწავლო კურსის ინგლისურად სწავლება უზრუნველყოფილია Erasmus+ -ის ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო პროგრამის INTEGRITY-ს, „აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვა“, ფარგლებში შემენილი ლიტერატურით), ფილოსოფიის ისტორიის (კონცეპტუალური საკითხები) და „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სწავლებას. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით გლობალურ გარემოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და შესაბამისი ღირებულებების გაზიარება. წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავება. აღნიშნული გულისხმობს ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური, გერმანული ან რუსული ენების (სტუდენტის არჩევით) სწავლებასა და ამ ენებზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. პროგრამაზე ჩასარიცხად სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ მოეთხოვებათ ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩარიცხვის შემთხვევაში ჯგუფების დიფერენციაციას უცხო ენის ცოდნის დონეებისა და ჩაბარებული უცხო ენის მიხედვით და შესაბამისად, სტუდენტები სწავლობენ არჩეულ ენას შესაბამისი საფეხურიდან თავისუფალი კრედიტის გამოყენებით.
ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის სავალდებულო სასაწავლო კურსები **140 კრედიტი**	ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში 140 კრედიტი (მათ შორის 40 კრედიტი პრაქტიკა 10 კრედიტი-გაცნობითი პრაქტიკა, 30 კრედიტი-პროფესიული პრაქტიკა) წარმოდგენილია ცალკეული სასწავლო კურსებისა და პრაქტიკის კომპონენტის სახით, რაც ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა-გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.
ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის არჩევითი სასაწავლო კურსები **50 კრედიტი**	ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების 50 კრედიტი სტუდენტს აძლევს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში მისთვის მიწოდებული სასწავლო კურსების გაძლიერების საშუალებას. არჩევითი სასწავლო კურსები აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მოდულების ფარგლებში შესწავლილი კურსების შევსების საშუალებას.
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი	ცალკეული სასწავლო კურსები (თავისუფალი კომპონენტი) - სტუდენტს, საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია აირჩოს ნებისმიერი სასწავლო კურსი უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან; აღნიშნული კრედიტების ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოქმედი რეგულაციებით უღიარებს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსებს, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული მოქნილსა და რელევანტურს ხდის მობილობით მოსარგებლე სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურებს.

დანართი 1

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი სასწავლო გეგმა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა							
სასწავლო კურსის დასახელება		სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი/ საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
1. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (40 კრედიტი)							
1	სახელმწ. ენის სპეც. კურსი	SFB.1	5/125	49	76	არ გააჩნია	2
1	Academic Writing (Eng)		5/125	35	90	ინგლისური ენა	2
2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	SFB.2	5/125	49	76	არ გააჩნია	1
3	ფილოსოფიის ისტორია (კონცეპტუალური საკითხები)	SFB.3	5/125	49	76	არ გააჩნია	1
4	აკადემიური წერა	SFB.4	5/125	35	90	არ გააჩნია	3
უცხო ენის მოდული (20 კრედიტი)							
უცხოური (**ინგლისური**) ენის კომპონენტი (B.1 დონისთვის)							
5.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1)	SFB.5.1.1	5/125	64	61	არ გააჩნია	1
5.2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2)	SFB.5.1.2	5/125	64	61	**SFB.5.**1.1	2
5.3	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.FCE1)	SFB.5.1.3	5/125	64	61	**SFB.5.**1.2	3
5.4	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.FCE2)	SFB.5.1.4	5/125	64	61	**SFB.5.**1.3	4
უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი (A.2 დონისთვის)							
5.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B1.1)	SFB.5.1.7	5/125	64	61	არ გააჩნია	1
5.2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B1.2)	SFB.5.1.8	5/125	64	61	**SFB.5.**1.7	2
5.3	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.1)	SFB.5.1.5	5/125	64	61	**SFB.5.**1.8	3
5.4	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.2)	SFB.5.1.6	5/125	64	61	**SFB.5.**1.5	4
უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი (A.1 დონისთვის)							
5.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)	SFB.5.1.7	5/125	64	61	არ გააჩნია	1
5.2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)	SFB.5.1.8	5/125	64	61	**SFB.5.**1.7	2

5.3	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)	SFB.5.1.5	5/125	64	61	**SFB.5.**1.8	3
5.4	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)	SFB.5.1.6	5/125	64	61	**SFB.5.**1.5	4

1	ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები	**SPEB.0112.1**	5/125	49	76	არ გააჩნია	1
2	ადრეული განათლების საფუძვლები	**SPEB.0112.2**	5/125	34	91	არ გააჩნია	1
3	ადრეული განათლების მართვა, მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული ეთიკა	**SPEB.0112.3**	5/125	49	76	არ გააჩნია	3
4	საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში.	**SPEB.0112.4**	5/125	49	76	კურიკულუმები სკოლამდელ განათლებაში	3
5	ბავშვზე ორიენტირებული, შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერი გარემო	**SPEB.0112.5**	5/125	49	76	ადრეული განათლების საფუძვლები	2
6	დაკვირვება და შეფასება სკოლამდელ განათლებაში	**SPEB.0112.6**	5/125	49	76	ადრეული განათლების საფუძვლები	2
7	ჯანმრთელობა და ბავშვზე ზრუნვა. პირველადი დახმარება	**SPEB.0112.7**	5/125	34	91	არ გააჩნია	3
8	ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა, პოზიტიური მშობლობა	**SPEB.0112.8**	5/125	32	93	არ გააჩნია	3
9	თამაში	**SPEB.0112.9**	5/125	49	76	ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები	2
10	ბავშვის უფლებები	**SPEB.0112.10**	5/125	34	91	არ გააჩნია	5
11	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები	**SPEB.0112.11**	5/125	49	76	ადრეული ინკლუზიური განათლება; დაკვირვება და შეფასება სკოლამდელ განათლებაში	5
12	მრავალფეროვნება და ადრეული ინკლუზიური განათლება	**SPEB.0112.12**	5/125	49	76	არ გააჩნია	4
13	სასკოლო მზაობა, ტრანზიცია	**SPEB.0112.13**	5/125	49	76	არ გააჩნია	5
14	კურიკულუმები ადრეულ განათლებაში	**SPEB.0112.14**	5/125	34	91	არ გააჩნია	2
15	ენის, მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების განვითარება	**SPEB.0112.15**	5/125	49	76	არ გააჩნია	4
16	მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები ადრეულ განათლებაში	**SPEB.0112.16**	5/125	34	91	სასწავლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში	5
17	ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება	**SPEB.0112.17**	5/125	37	88	საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში.	5
18	მეცნიერება და სახალისო ექსპერიმენტები-შორენა	**SPEB.0112.18**	5/125	32	93	საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში.	6
19	მენტორობა და ქოუჩინგი	**SPEB.0112.19**	5/125	49	76	არ გააჩნია	7
20	პროექტული სწავლება და კვლევა სკოლამდელ განათლებაში	**SPEB.0112.20**	5/125	45	80	არ გააჩნია	8
3. დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული პრაქტიკა (40 ECTS)							
1	გაცნობითი პრაქტიკა 1	**SPEB.0112.21**	5/125	74	51	არ გააჩნია	2

2	გაცნობითი პრაქტიკა 2	**SPEB.0112.22**	5/125	74	51	გაცნობითი პრაქტიკა 1	3
3	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 1	**SPEB.0112.23**	10/250	147	103	გაცნობითი პრაქტიკა 2	6
4	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 2	**SPEB.0112.24**	10/250	147	103	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 1	7
5	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 3	**SPEB.0112.25**	10/250	147	103	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 2	8
4. ძირითადი სწავლის სფეროს/სპეციალობის ძირითადი არჩევითი კურსები -50 ECTS							
1	ეფექტური კომუნიკაცია	**SPEB.0112.E1**	5/125	34	91	არ გააჩნია	4
2	წიგნიერება და საბავშვო ლიტერატურა	**SPEB.0112.E2**	5/125	49	76	არ გააჩნია	4
3	მულტიკულტურული განათლების საფუძვლები	**SPEB.0112.E3**	5/125	77	48	არ გააჩნია	5
4	გენდერის საკითხები განათლებაში	**SPEB.0112.E4**	5/125	34	91	არ გააჩნია	5
5	ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება სკოლამდელ განათლებაში	**SPEB.0112.E5**	5/125	45	80	არ გააჩნია	6
6	ქართული მართლწერა და მართლმეტყველება	**SPEB.0112.E6**	5/125	34	91	არ გააჩნია	7
7	კარიერის მართვა და ლიდერობა	**SPEB.0112.E7**	5/125	45	80	არ გააჩნია	8
8	სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები	**SPEB.0112.E8**	5/125	45	80	არ გააჩნია	7
9	არაძალადობრივი გარემოს შექმნა და რეფერირების განხორციელება	**SPEB.0112.E9**	5/125	45	80	არ გააჩნია	8
10	მულტილინგვური განათლების საფუძვლები	**SPEB.0112.E10**	5/125	77	48	არ გააჩნია	6
5. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები -10 ECTS							
1	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები		10/250			არ გააჩნია	8
			240 ECST				

დანართი 2

სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო სემესტრული განაწილება					
#	1 სემესტრი	ECTS	#	2 სემესტრი	ECTS
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5/125	1	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5/125
2	ფილოსოფიის ისტორია კონცეპტუალური საკითხები	5/125	2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2)	5/125
3	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1)	5/125	3	ბავშვზე ორიენტირებული, შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერი გარემო	5/125
4	ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები	5/125	4	დაკვირვება და შეფასება სკოლამდელ განათლებაში	5/125
5	ადრეული განათლების საფუძვლები	5/125	5	თამაში	5/125
			6	კურიკულუმები ადრეულ განათლებაში	5/125
			7	გაცნობითი პრაქტიკა 1	5/125
		25			**35**

#	3 სემესტრი	ECTS	#	4 სემესტრი	ECTS
1	აკადემიური წერა/ Academic Writing (Eng)	5/125	1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.FCE2)	5/125
2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.FCE1)	5/125	2	მრავალფეროვნება და ადრეული ინკლუზიური განათლება	5/125
3	ადრეული განათლების მართვა, მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული ეთიკა	5/125		ენის, მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების განვითარება	5/125
4	საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში.	5/125		ეფექტური კომუნიკაცია	5/125
5	ჯანმრთელობა და ბავშვზე ზრუნვა. პირველადი დახმარება	5/125		წიგნიერება და საბავშვო ლიტერატურა	5/125
6	ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა, პოზიტიური მშობლობა	5/125			
7	გაცნობითი პრაქტიკა 2	5/125			
		35			**25**

#	5 სემესტრი	ECTS	#	6 სემესტრი	ECTS
1	ბავშვის უფლებები	5/125	1	მეცნიერება და სახალისო ექსპერიმენტები	5/125

2	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები	5/125	2	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 1	10/250
3	სასკოლო მზაობა, ტრანზიცია	5/125	3	ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება სკოლამდელ განათლებაში	5/125
4	მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები ადრეულ განათლებაში	5/125	4	მულტილინგვური განათლების საფუძვლები	5/125
5	ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება	5/125			
6	მულტიკულტურული განათლების საფუძვლები	5/125			
7	გენდერის საკითხები განათლებაში	5/125			
		35			**25**

#	7 სემესტრი	ECTS	#	8 სემესტრი	ECTS
1	მენტორობა და ქოუჩინგი	5/125	1	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 3	10/250
2	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 2	10/250	2	კარიერის მართვა და ლიდერობა	5/125
3	ქართული მართლწერა და მართლმეტყველება	5/125	3	პროექტული სწავლება და კვლევა სკოლამდელ დაწესებულებაში	5/125
4	სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები	5/125	4	არამალადობრივი გარემოს შექმნა და რეფერირების განხორციელება	5/125
5			5	თავისუფალი სასწავლო კურსები	10
6		**25**			**35**

დანართი 3

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება

N	სასწავლო კურსი		სწავლის შედეგები					
		შედეგი 1. 1.	შედეგი 1.2.	შედეგი1. 3.	შედეგი 1.4.	შედეგი 2.1.	შედეგი 2.2.	შედეგი 3.1.
1.	ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები	1						
2.	ადრეული განათლების საფუძვლები	1						
3.	ადრეული განათლების მართვა, მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული ეთიკა				1			
4.	საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში.	1	1		1	1		
5.	ბავშვზე ორიენტირებული, შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერი გარემო		2	2				
6.	დაკვირვება და შეფასება სკოლამდელ განათლებაში	2				2		
7.	ჯანმრთელობა და ბავშვზე ზრუნვა. პირველადი დახმარება	2			2	2		
8.	ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა, პოზიტიური მშობლობა	2	2	2	2		2	
9.	თამაში	2	2	2		2		
10.	ბავშვის უფლებები	1			1			
11.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები	2	2	2	2	2	2	2
12.	მრავალფეროვნება და ადრეული ინკლუზიური განათლება	2	2	2	2			
13.	სასკოლო მზაობა, ტრანზიცია		2		2		2	
14.	კურიკულუმები ადრეულ განათლებაში		2	2				
15.	ენის, მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების განვითარება	2	2			2		
16.	მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები ადრეულ განათლებაში	2	2			2		
17.	ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება	2	2			2		
18.	მეცნიერება და სახალისო ექსპერიმენტები-	2	2			2		

19.	მენტორობა და ქოუჩინგი					**2**	**2**	**2**
20.	პროექტული სწავლება და კვლევა სკოლამდელ დაწესებულებაში							
21.	გაცნობითი პრაქტიკა 1					**3**	**3**	**3**
22.	გაცნობითი პრაქტიკა 2					**3**	**3**	**3**
23.	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 1		**3**			**3**	**3**	**3**
24.	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 2					**3**	**3**	**3**
25.	პროფესიული პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 3					**3**	**3**	**3**
26.	ეფექტური კომუნიკაცია							
27.	წიგნიერება და საბავშვო ლიტერატურა							
28.	მულტიკულტურული განათლების საფუძვლები							
29.	გენდერის საკითხები განათლებაში							
30.	ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება სკოლამდელ განათლებაში							
31.	ქართული მართლწერა და მართლმეტყველება							
32.	კარიერის მართვა და ლიდერობა							
33.	სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები							
34.	არაძალადობრივი გარემოს შექმნა და რეფერირების განხორციელება							
35.	მულტილინგვური განათლების საფუძვლები							
36.	აკადემიური წერა							
37.	Academic Writing (Eng)							
38.	საინფორმაციო ტექნოლოგიები							
39.	ფილოსოფიის ისტორია (კონცეპტუალური საკითხები)							
40.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი							
41.	უცხოური (**ინგლისური**) ენის კომპონენტი							
42.	უცხოური (**გერმანული**) ენის კომპონენტი							
43.	უცხოური (**რუსული**) ენის კომპონენტი							